სტუ-ს ინსტიტუტ ტექინფორმის მონაწილეობა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის მიერ ორგანიზებულ AGRIS საზოგადოების რიგით მესამე წლიურ შეკრებაში

2-3 ივლისს გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ორგანიზაციამ (Food and Agriculture Organization of the United Nations - FAO) ჩაატარა AGRIS (სოფლის მეურნეობის კვლევების საერთაშორსო სისტემა) საზოგადოების რიგით მესამე წლიური შეკრება, სადაც მონაწილეობა მიიღო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინსტიტუტმა ტექინფორმმა, როგორც AGRIS საზოგადოების ერთადერთმა ეროვნულმა ცენტრმა საქართველოში.



შეკრება ეძღვნებოდა AGRIS-ის სისტემის მართვისა და მისი გამოყენების უპირატესობებს, რომელიც ხელს უწყობს საერთაშორისო გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარებას სურსათისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებით მოღვაწე სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ, როგორიცაა: აშშ, საფრანგეთი, ტაილანდი, მოლდავეთი, გერმანია, ყაზახეთი, იტალია, უკრაინა, რუსეთი, ბელარუსი და სხვ.

ტექნიკური უნივერსიტეტის მხრიდან ღონისძიებაში მონაწილეობდა ინსტიტუტ ტექინფორმის დირექტორის მოადგილე მარინა რაზმაძე, რომელმაც წარმოადგინა

მოხსენება თემაზე „AGRIS-ის როლი საქართველოს სურსათისა და სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარებაში“.

დეტალური ინფორმაცია აღნიშნული ღონისძიების შესახებ იხილეთ ბმულზე.